განმარტებითი ბარათი

„საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ (შემდგომში - კოდექსი) 56-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, გამგებლის/მერის უფლებამოსილების შეჩერებისა და შეწყვეტის შემთხვევებში მის მოვალეობას ასრულებს გამგებლის/მერის პირველი მოადგილე. თუმცა, კოდექსი არ აწესრიგებს იმ შემთხვევას, თუ, ვინ ასრულებს გამგებლის/მერის მოვალეობას პირველი მოადგილის არყოფნის ან მისი არ არსებობის შემთხვევაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელი გახდა კანონის პროექტის მომზადება და იმ საკითხის დაზუსტება, თუ, ვინ შეასრულებს გამგებლის/მერის მოვალეობას მისი პირველი მოადგილს არყოფნის/არ არსებობის შემთხვევაში.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

კანონის პროექტის მიზანია, განსაზღვროს იმ სუბიექტთა წრე, თუ ვინ შეასრულებს გამგებლის/მერის მოვალეობას, გამგებლის/მერის პირველი მოადგილის არყოფნის/არ არსებობის შემთხვევაში.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონის პროექტის შესაბამისად, განისაზღვრება იმ სუბიექტთა წრე, თუ ვინ შეასრულებს გამგებლის/მერის მოვალეობას გამგებლის/მერის პირველი მოადგილის არყოფნის/არ არსებობის შემთხვევაში. კერძოდ, გამგებლის/მერის უფლებამოსილების შეჩერების ან შეწყვეტის შემთხვევაში მის მოვალეობას გამგებლის/მერის უფლებამოსილების აღდგენამდე ან ახალი გამგებლის/მერის არჩევამდე შეასრულებს გამგებლის/მერის პირველი მოადგილე, თუ გამგებლის/მერის პირველი მოადგილე თანამდებობაზე დანიშნული არ არის - გამგებლის/მერის მოადგილე, ხოლო თუ გამგებელს/მერს ჰყავს ორი ან მეტი გამგებლის/მერის მოადგილე, მაშინ - ასაკით უხუცესი გამგებლის/მერის მოადგილე. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ გამგებლის/მერის პირველი მოადგილე ან გამგებლის/მერის მოადგილე დანიშნული არ არის, გამგებლის/მერის უფლებამოსილების აღდგენამდე ან ახალი გამგებლის/მერის არჩევამდე გამგებლის/მერის მოვალეობას ასრულებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე. გამგებლის/მერის დროებით შრომისუუნარობის ან შვებულების გამო გამგებლის/მერის უფლებამოსილების შეჩერების შეთხვევაში გამგებელი/მერი უფლებამოსილი იქნება თავად განსაზღვროს გამგებლის/მერის მოვალეობის შემსრულებელი გამგებლის/მერის მოადგილე, მათ შორის პირველი მოადგილე.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მიერ მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის მოვალეობის შესრულების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს შეუჩერდება მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის სტატუსი. აღნიშნული რეგულაციის გათვალისწინებით დაზუსტდა 34-ე მუხლის სათაური და დაემატა მუნიციპალიტეტის თავმჯდომარის უფლებამოსილების შეჩერება. ამასთან, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით შეასრულებს მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობას მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის გადაყენების, გადადგომის ან მისთვის უფლებამოსილების შეჩერების/შეწყვეტის შემთხვევაში.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მიღება არ არის დაკავშირებული ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფასთან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ საჭიროებს დამატებითი ხარჯების გაღებას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოსათვის ახალი ფინანსური ვალდებულებების წარმოქმნას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს ფინანსურ შედეგებს იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება მისი მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელების შემოღებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან

კანონპროექტის მიღება არ არღვევს და არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებული ორმხრივი და მრავალმხივი საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/ დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი

პარლამენტის წევრები გრიგოლ ლილუაშვილი და კობა ლურსმანაშვილი

ვ) კანონპროექტის ინიციატორი

პარლამენტის წევრები გრიგოლ ლილუაშვილი და კობა ლურსმანაშვილი